ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კლინიკის ფარგლებში სტუდენტების მიერ განხორციელებული სისხლის სამართლის სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიში

(თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეები)

2023

მონიტორინგის პერიოდი:

მარტი-ივლისი, 2023

ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი: ანა ხარაიშვილი

ავტორი და კლინიკის ექსპერტი: გოგა ხატიაშვილი

მონიტორები/სტუდენტები: გია ჩხაიძე, ნუნუ მაღლაკელიძე, ალექსანდრე ყაველაშვილი, ოთარ მამულია, სოფიკო ბახბახაშვილი, დავით გვიმრაძე, ანა ტრაპაიძე, სალომე ჩუბინიძე

რედაქტორი: შალვა ყიფშიძე

დიზაინი: ელენე შენგელია

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წერილობითი ნებართვის გარეშე.

კვლევა მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური გუნდისა და სტუდენტების მიერ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს ზემოთ აღნიშნული დონორი ორგანიზაციების შეხედულებებს.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

სარჩევი

შესავალი

მეთოდოლოგია

ძირითადი მიგნებები

თავი I. სტატისტიკური ინფორმაცია დაზარალებულთა და ბრალდებულთა შესახებ

თავი II ოჯახში ძალადობის საქმეებზე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება

თავი III. დაზარალებულის მონაწილეობა სამართალწარმოების პროცესში

თავი IV. მხარეებისა და დამსწრე პირების ქცევა სასამართლოს შენობაში

თავი V. ოჯახში ძალადობის საქმეებზე გამოტანილი განაჩენები და გამოყენებული სასჯელები

თავი VI. ოჯახში ძალადობის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გამოყენება

თავი VII. სასამართლო პროცესის დაგვიანებით დაწყება და გადადება

დასკვნა

1
2
3
5
7
10
16
18
21
23
26

მონიტორინგის ანგარიში 2023

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კლინიკის ფარგლებში სტუდენტების მიერ განხორციელებული სისხლის სამართლის სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიში

თბილისი

შესავალი

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა კვლავ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად, რომელზეც ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. მზარდია, ოჯახურ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. 2022 წელს ოჯახურ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5325 პირის მიმართ, შესაბამისად ყოველწლიურად უფრო მეტი საქმის განხილვა და გადაწყვეტა უწევს სასამართლოს. ბოლო წლებში, ძალადობის გამოვლენის ზრდის პარალელურად, კვლავ მაღალია ქალთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის მაჩვენებელი. 2022 წელს, 22 ქალის მკვლელობის, ხოლო, 18 ქალის მკვლელობის მცდელობის ფაქტი დაფიქსირდა, რაც მიუთითებს ადრეულ ეტაპზე ძალადობის დროულად გამოვლენის, პრევენციისა და თავიდან აცილების მწვავე პრობლემაზე.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, 2022 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - თსუ), USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ხელშეწყობით, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კლინიკა (შემდგომში - კლინიკა) დაფუძნდა. კლინიკა მიზნად ისახავს, რომ ხელი შეუწყოს სასამართლო პროცესების გამჭვირვალობის გაზრდას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე ეფექტიანი მართლმსაჯულების განსახორციელებლად.

ოჯახში ძალადობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს სასამართლო. ამიტომ, საინტერესოა, თუ როგორ წარიმართება სასამართლოში ოჯახში ძალადობის საქმეთა განხილვის სხვადასხვა ეტაპი, როგორ პოზიციონირებენ მხარეები და როგორია მოსამართლის მიდგომები, რომელზე დაკვირვებაც შეიძლება განხორციელდეს სხდომებზე დასწრებითა და მონიტორინგის გზით.

აღნიშნულ კითხვებზე პასუხების გასაცემად, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებმა კლინიკის დასრულების შემდეგ განახორციელეს - ოჯახში ძალადობის საქმეებზე სისხლის სამართლის სასამართლო პროცესების მონიტორინგი. მისი მიზანი გახლდათ არა მხოლოდ ტრადიციული გაგებით სასამართლო პროცესების დაკვირვება და მათი ანალიზი, არამედ საზოგადოების წევრების, კერძოდ, სტუდენტების მიერ სასამართლოს საქმიანობის უკეთ გაცნობა. ეს ყოველივე კი ხელს შეუწყობს საზოგადოებასა და სასამართლოებს შორის ჩართულობის განვითარებას.

წინამდებარე ანგარიშში სწორედ სტუდენტების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ძირითადი ტენდენციები და მაგალითებია ასახული.

[1] საქართველოს პროკურატურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, 83, https://tinyurl.com/4tsf9v62 [26.11.2023].

[2] საქართველოს გენერალური პროკურატურა, ფემიციდის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური აპექტები, https://tinyurl.com/y3h6ryk2 [26.11.2023].

[3] პროექტის ფარგლებში დაფუძნებული კლინიკა, თსუ-ს ბაზაზე საქმიანობას განაგრძობს იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო საფეხურზე, რამდენადაც კლინიკით დაინტერესება სტუდენტებში საკმაოდ დიდია. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო პროცესების მონიტორინგის პერიოდში, რომელიც 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში განხორციელდა, კლინიკამ სტუდენტების მეორე ნაკადი მიიღო. ხოლო, მიმდინარე სემესტრში ის კვლავ იქნა შეთავაზებული სტუდენტებისთვის და მესამე ნაკადიც მალე დაასრულებს სწავლებას. კლინიკას მომდევნო სემესტრებშიც პროექტის ფარგლებში მოწვეული ექსპერტი უხელმძღვანელებს, რომელიც სტუდენტებს იმ მიგნებებს გაუზიარებს, რაც წინამდებარე სასამართლო პროცესების მონიტორინგის ფარგლებში გაკეთდა.

მეთოდოლოგია

ანგარიშზე მუშაობა ორი ძირითადი ეტაპისგან შედგებოდა. პირველ ეტაპზე, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის წინასწარ შერჩეულმა 8 სტუდენტმა (შემდგომში - მონიტორი), მონიტორინგის დაწყებამდე, გაიარა სწავლება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ასევე, მიეცათ შესაბამისი მითითებები სასამართლო მონიტორინგის განხორციელების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით.

თეორიული სწავლების დასრულების შემდეგ, სამუშაო შეხვედრა გაიმართა ოჯახში ძალადობის საქმეების განმხილველ საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან, რომლის მიზანი იყო ერთი მხრივ, დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ხოლო, მეორე მხრივ, მოსამართლეთა გამოცდილების კლინიკის სტუდენტებისათვის გაზიარება.

მეორე ეტაპზე, შერჩეულმა სტუდენტებმა განახორციელეს სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგი თბილისის საქალაქო სასამართლოში. მონიტორინგის მთავარ სამიზნეს წარმოადგენდა ოჯახში ძალადობის საქმეები, განსაკუთრებით პირველი წარდგენისა და საქმის არსებითი განხილვის სხდომებზე დაკვირვება. სასამართლო პროცესებზე დასწრება განხორციელდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ამასთან, როგორც წესი, მონიტორები ესწრებოდნენ ინდივიდუალურ სასამართლო პროცესებს და არა საქმის განხილვის ყველა სხდომას.

როგორც წესი, მონიტორები სასამართლოში მისვლისას არკვევდნენ იმართებოდა თუ არა იმ დღეს აღნიშნულ საქმეზე პროცესი. ზოგჯერ, საათობით უწევდათ ლოდინი პირველი წარდგენის სხდომაზე დასასწრებად, რადგან მათ შესახებ ინფორმაცია წინასწარ არ ქვეყნდებოდა.

მონიტორებისთვის სირთულეს წარმოადგენდა სასამართლო პროცესის თარიღის, დროისა და სხდომის ჩატარების დარბაზის გარკვევა. პირველი წარდგენის სხდომებიდან, რომელთა მონიტორინგიც განხორციელდა, არცერთის შესახებ არ გამოქვეყნებულა ინფორმაცია წინასწარ. რაც შეეხება, საქმის განხილვის სხვა ეტაპებს, მონიტორები ინფორმაციას იგებდნენ სასამართლოს ფოიეში მდგარი საინფორმაციო დაფიდან. თუმცა, რიგ შემთხვევებში, საინფორმაციო დაფა გამართულად არ მუშაობდა, კერძოდ, როდესაც ხდებოდა პროცესის გაუხსნელად გადადება ან სხდომა სხვა დარბაზში ტარდებოდა, ცვლილებები საინფორმაციო დაფაზე არ აისახებოდა. ამის გამო, მონიტორებს ხშირად უწევდათ სხდომის მდივანთან ან მოსამართლის თანაშემწესთან კომუნიკაცია. უმეტესად, აღნიშნული პირები მონიტორებს აწვდიდნენ ინფორმაციას სხდომების ჩატარების განრიგის შესახებ, თუმცა დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მოხელეები არ პასუხობდნენ მონიტორებს და არ აწვდიდნენ ზუსტ ინფორმაციას სხდომის ჩატარებისდროისადაადგილისშესახებ.[4] აღნიშნულიკი,მნიშვნელოვნადაბრკოლებსსასამართლო პროცესებზე ხელმისაწვდომობასა და წარმოადგენს საჯარო განხილვის უფლების დარღვევას.

მონიტორინგი განხორციელდა სპეციალური კითხვარის მეშვეობით, რისთვისაც გამოყენებული იქნა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) მიერ მომზადებული სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის სახელმძღვანელო.[5]

2023 წლის მარტიდან - ივლისის ჩათვლით მონიტორებმა თბილისის საქალაქო სასამართლოში 62 სასამართლო სხდომის მონიტორინგი განახორციელეს, რომელთა შორისაა:

[4] მაგალითად, როდესაც მონიტორი დავუკავშირდა სხდომის მდივანს იმის გასარკვევად, იმ დღეს ჩანიშნული პროცესებიდან რომელიმე თუ შეეხებოდა ოჯახში ძალადობას, სხდომის მდივანმა მკაცრი ტონით უპასუხა - საიდან ჰქონდა მისი ნომერი. მას შემდეგ, რაც მონიტორმა აუხსნა, რომ მისი საკონტაქტო ნომერი საჯარო ინფორმაციას წარმოადგენდა, სხდომის მდივანმა განუცხადა, რომ საქმეების ნახვა ელექტრონულ დაფაზე შეეძლო და კითხვაზე არ უპასუხა.

[5] სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის სახელმძღვანელო, საია, https://tinyurl.com/yyer9msy [28.09.2023].

- **12 - პირველი წარდგენის სხდომა**
- **2 - საპროცესო შეთანხმების სხდომა**
- **3 - წინასასამართლო სხდომა**
- **45 - არსებითი განხილვის სხდომა**

მონიტორინგის დასრულების შემდეგ, საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან გაიმართა კიდევ ერთი შეხვედრა რომელზეც, მოსამართლეებს წარედგინათ შუალედური ანგარიში და გაიმართა დისკუსია მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ გამოწვევებთან დაკავშირებით.[6]

წინამდებარე ანგარიში მთლიანად ეყრდნობა სისხლის სამართლის სასამართლოს პროცესებზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი ინფორმაციის ანალიზს. შესაბამისად, მასში აისახა მხოლოდ ის მონაცემები, რომელიც სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისთვის (სტუდენტებისთვის) გახდა ცნობილი.

მართალია, სულ 62 საქმის მონიტორინგი განხორციელდა, რაც შესაძლოა არ იძლეოდეს ყოვლისმომცველ და ამომწურავ ინფორმაციას არსებული მდგომარეობის შესახებ, თუმცა დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაცია შეიცავს საყურადღებო და საინტერესო მონაცემებს ოჯახში ძალადობის საქმეების სასამართლოში განხილვის ტენდენციებზე.

ძირითადი მიგნებები

სასამართლო პროცესებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ოჯახში ძალადობის უმეტეს საქმეში დაზარალებული იყო ქალი, ხოლო ბრალდებული - კაცი; ამასთან, უმეტეს შემთხვევებში სავარაუდო მოძალადეს მსხვერპლის მეუღლე/ყოფილი მეუღლე ან მშობელი წარმოადგენდა;

ანგარიშში განხილულ ოჯახში ძალადობის საქმეებზე, უმეტესად ორი სახის აღკვეთის ღონისძიება - გირაო და პატიმრობა იქნა გამოყენებული. ზოგიერთ შემთხვევაში, სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების რაოდენობიდან და ძალადობის განმეორების პოტენციური საფრთხიდან გამომდინარე, არ იყო ნათელი რამდენად უზრუნველყოფდა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზანს;

ერთ-ერთ გამოწვევად რჩება დაზარალებულის მიერ ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა, რაც მტკიცებულებათა არასაკმარისობის მოტივით, ბრალდებულის გამართლების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ხდება;. თუმცა მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიუხედავად, მოსამართლემ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა;

ანგარიშში განხილულ ოჯახში ძალადობის საქმეებზე სასჯელის სახით, უმეტესად ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და პირობითი მსჯავრი იქნა გამოყენებული, თუმცა, სასჯელის ავტონომიურად განსაზღვრისა და ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინების მიუხედავად, ზოგიერთ შემთხვევაში, საეჭვოა, რამდენად პროპორციული იყო გამოყენებული სასჯელი ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან მიმართებით;

ანგარიშში განხილული საქმეები ცხადყოფს, რომ რიგ შემთხვევებში, ვერ ხდება დაზარალებულისათვის მეორეული ვიქტიმიზაციის შესაძლო რისკების თავიდან აცილება. კერძოდ, დაფიქსირდა, ბრალდებულის მიერ მსხვერპლისათვის დამადანაშაულებელი შეკითხვების დასმის შემთხვევები, რომელზეც მოსამართლეს უმეტესად ჰქონდა სათანადო რეაგირება და დაზარალებულს მიუთითებდა, რომ შეეძლო აღნიშნულ კითხვაზე არ ეპასუხა. ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში, ბრალდებულის ადვოკატი და სხდომის დარბაზში დამსწრე პირები პროცესის დაწყებამდე, მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდეგ ავლენდნენ არაეთიკურ, სტერეოტიპულ და შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას, რაც უმეტესად მიმართული იყო დაზარალებული პირის ან მოწმის მიმართ;

პირველი წარდგენის რამდენიმე სხდომაზე გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც პროცესის მონაწილეებსა და დარბაზში მსხდომ პირებს არ ესმოდათ მოსამართლის საუბარი, რაც მნიშვნელოვნად ხელყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლებას;

პირველი წარდგენის სხდომებიდან, რომელთა მონიტორინგიც განხორციელდა, არცერთის შესახებ ინფორმაცია წინასწარ არ გამოქვეყნებულა;

ანგარიშში განხილულ საქმეებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს სასამართლო პროცესების დაგვიანებით დაწყება. სასამართლო პროცესების დაგვიანებით დაწყების გარდა, ხშირად მხარეთა მოთხოვნით ხდება სხდომების გადადება, რაც ხელს უწყობს საქმის განხილვის გაჭიანურებასა და შეიცავს დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციის რისკებს.

თავი I

სტატისტიკური ინფორმაცია დაზარალებულთა და ბრალდებულთა შესახებ

სტატისტიკური ინფორმაცია დაზარალებულთა და ბრალდებულთა შესახებ

სასამართლო პროცესებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ოჯახში ძალადობის უმეტეს საქმეში დაზარალებული იყო ქალი, ხოლო ბრალდებული - კაცი. მხოლოდ 3 შემთხვევაში იყო ბრალდებული ქალი, რომელსაც ედავებოდნენ შვილის ან შვილის მეუღლის მიმართ ჩადენილ ძალადობას. ასევე, ოჯახში ძალადობის ან/და ოჯახური დანაშაულის საქმეთა უმეტესობა ეხებოდა მეუღლის, ყოფილი მეუღლის (სადაც მსხვერპლი იყო ქალი) ან შვილის მიმართ ჩადენილ დანაშაულს.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს დაზარალებულისა და ბრალდებულის ნათესაურ კავშირს

დაზარალებული არის ბრალდებულის:

თავი II

ოჯახში ძალადობის საქმეებზე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება

თავი II ოჯახში ძალადობის საქმეებზე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება

საანგარიშო პერიოდში მონიტორები დაესწრნენ 12 პირველი წარდგენის სხდომას. 6 შემთხვევაში ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ იქნა გირაო, ხოლო 6 შემთხვევაში - პატიმრობა.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ერთ საქმეზე მოითხოვა ბრალდების მხარემ გირაოს გამოყენება, ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი, პატიმრობის გამოყენება იშუამდგომლა. აღსანიშნავია, რომ პროკურორს არ დაუსაბუთებია, რატომ ითხოვდა გირაოს გამოყენებას ბრალდებულის მიმართ. სასამართლო პროცესიდან გამოვლინდა, რომ ბრალდებულმა დაარღვია დედის დაცვის მიზნით გამოცემული შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული პირობები და ვალდებულებები. პროკურორმა ხაზი გაუსვა ბრალდებულის ქცევის სირთულეს და აღნიშნა, რომ არსებობდა მისი მხრიდან ძალადობის განმეორებისა და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც გირაოს გამოყენება იშუამდგომლა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ოჯახში ძალადობის საქმეებზე სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მაჩვენებელს.

აღკვეთის სახით გამოყენებული ღონისძიებები

საბოლოოდ, სასამართლომ პატიმრობის შეფარდების თაობაზე ბრალდების მხარის შუამდგომლობა 6 შემთხვევაში დააკმაყოფილა.

განსაკუთრებით პრობლემური იყო ერთ-ერთ საქმეზე ბრალდებულის მიმართ გირაოს გამოყენება, მაშინ როდესაც პროკურორმა პატიმრობის გამოყენება იშუამდგომლა. პირს, რომელიც იყო უცხო ქვეყნის მოქალაქე, ბრალდება წარდგენილი ჰქონდა სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით, რომელიც მოიცავდა სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედების 6 ეპიზოდს. კერძოდ, ოჯახში ძალადობა, მათ შორის არასრულწლოვანის თანდასწრებით და ოჯახის წევრის მიმართ მუქარა. მოსამართლემ ბრალდებულის მიმართ გამოიყენა გირაო, პატიმრობის უზრუნველყოფით[7] და მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ბრალდებულის პირდაპირ გათავისუფლება იქნებოდა წამახალისებელი და არა დამაფიქრებელი. ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების რაოდენობიდან და ძალადობის განმეორების პოტენციური საფრთხიდან გამომდინარე, საეჭვოა რამდენად უზრუნველყოფდა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზანს.

[7] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, „სასამართლო პროკურორის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობას უფარდებს ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დაკავება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახით, მის მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე გირაოს სრულად ან ნაწილობრივ (მაგრამ არანაკლებ 50%-ისა) შეტანამდე“. 2022 წლის 24 ივნისის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს მოსამართლის მიერ ბრალდებულის გირაოს შეტანამდე გათავისუფლებას, იხ. https://tinyurl.com/2ev22zx5 [07.12.2023].

რაც შეეხება წინასასამართლო სხდომაზე აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის სავალდებულო წესით გადასინჯვის საკითხს, სამივე შემთხვევაში, რომელსაც მონიტორები დააკვირდნენ, პატიმრობა დარჩა ძალაში.

პირველი წარდგენის სხდომაზე გამოვლინდა ხუთი შემთხვევა, როდესაც პროცესის მონაწილეებსა და დარბაზში მსხდომ პირებს არ ესმოდათ მოსამართლის საუბარი. აღნიშნული უმეტესად არ იყო დაკავშირებული აპარატურის ტექნიკურ გაუმართაობასთან. მხოლოდ ერთ შემთხვევაში ჰქონდა აპარატურას ტექნიკური პრობლემები. მოსამართლეები იმდენად სწრაფად, ჩუმად და დაბალ ტონალობაში საუბრობდნენ, რომ შეუძლებელი იყო მათ მიერ წარმოთქმული სიტყვების გარჩევა და მათი საუბრიდან შინაარსის გამოტანა. აღნიშნულის დასტურია ისიც, რომ ერთ-ერთ საქმეზე, სხდომის დასრულების შემდგომ, პროკურორი მივიდა სხდომის მდივანთან და იმის გამო, რომ სხდომის მიმდინარეობისას ვერ გაიგო, მასთან გაარკვია, რა გადაწყვეტილება მიიღო მოსამართლემ. კიდევ ერთ საქმეზე, დაცვის მხარეს დარბაზში მყოფმა პირებმა გადაულაპარაკეს, რომ არ ესმოდათ მოსამართლის საუბარი, რაზეც ადვოკატმა მიუთითა, რომ არც მისთვის იყო შესაძლებელი მოსამართლის საუბრის გაგება. აღნიშნული პრობლემა მნიშვნელოვნად ხელყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რადგან მხარეებსა და დამსწრე პირებს არ ჰქონდათ საშუალება, რომ მოესმინათ პროცესის დროს გამოკვლეული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები.

თავი III

დაზარალებულის მონაწილეობა სამართალწარმოების პროცესში

თავი II დაზარალებულის მონაწილეობა სამართალწარმოების პროცესში

დამონიტორინგებული საქმის არსებითი განხილვის სხდომებიდან, დაზარალებული მხოლოდ 4 შემთხვევაში დაიკითხა, ხოლო 5 შემთხვევაში დაზარალებულმა უარი თქვა ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. ასევე, ბრალდებულის ადვოკატი სასამართლოში ხშირად წარადგენდა დაზარალებულის ე.წ. ხელწერილს ბრალდებულის მიმართ პრეტენზიის არქონის შესახებ.

დაზარალებულის დაკითხვის პროცესი, უმეტესად სათანადო გარემოში წარიმართა, თუმცა დაფიქსირდა მცირედი ინციდენტებიც.

მაგალითად, ერთ-ერთი საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, სადაც მიმდინარეობდა დაზარალებულის დაკითხვა, რომელიც ამავდროულად იყო ბრალდებულის და, პროკურორის მიერ მოწმის დაკითხვის პროცესში რამდენჯერმე ჩაერთო ბრალდებული, დაუსვა კითხვები და დაადანაშაულა ტყუილში. მოსამართლემ დაუყოვნებლივ შეაწყვეტინა საუბარი ბრალდებულს და მიუთითა, რომ ამჟამად მოწმეს ჰკითხავდა ბრალდების მხარე და სურვილის შემთხვევაში, შემდგომში შეძლებდა კითხვების დასმა, რაც პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს.

კიდევ ერთი საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე დაიკითხნენ დაზარალებულები (ბრალდებულის მეუღლე და გერი). ბრალდებული, დაზარალებულ მეუღლეს დაკითხვისას უსვამდა ისეთ შეკითხვებს, რომელიც დაზარალებულის დამადანაშაულებელი შინაარსის იყო,[8] თუმცა აღნიშნულზე პროკურორს რეაგირება არ ჰქონია და არ დაუყენებია შუამდგომლობა კითხვის განრიდების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის მიერ დასმულ ერთ-ერთი შეკითხვაზე, რამაც დაზარალებული ააღელვა, მოსამართლემ მიუთითა, რომ შეეძლო არ ეპასუხა. მიზანშეწონილი არ არის დაზარალებულისთვის ისეთი კითხვების დასმა, რომელიც არ ეხება საქმის გარემოებებს, საზიანოა და მსხვერპლის დამადანაშაულებელ განწყობას ქმნის. ამიტომ, ასეთ დროს მნიშვნელოვანია, რომ ბრალდების მხარემ და მოსამართლემ უზრუნველყოს დაზარალებულის დაცვა მეორეული ვიქტიმიზაციის რისკებისგან და უზრუნველყოს მისთვის არარელევანტური შეკითხვების დასმის პრევენცია ან შექმნას აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხის გაცემისგან თავის არიდების შესაძლებლობა.

ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე დაზარალებული უარყოფდა მის მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტს და ამტკიცებდა რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს მისი მეუღლე უკანონოდ ჰყავდათ დაკავებული. დაზარალებულის ჩვენებით, მისი მეუღლე არის ეროვნებით ფრანგი და არ ესმის ქართული. მას, თარჯიმანი დროულად არ მიუყვანეს და ისე მოაწერინეს ხელი ჩვენებაზე. დაზარალებულმა განაცხადა, რომ იგი მეუღლესთან ერთად ცდილობდა პოლიციის შენობიდან გამოსვლას, რის საშუალებასაც პოლიციელები არ აძლევდნენ.[9] სამართალდამცველები სიტყვიერად მოუწოდებდნენ დაზარალებულს გაჩერებულიყო, რა დროსაც ერთ-ერთმა პოლიციელმა კედელზე მიანარცხა ბრალდებული. როდესაც მან ყვირილი დაიწყო, რომ მათზე ძალადობდნენ, პოლიციელებმა თავი დაანებეს და შეძლეს განყოფილების დატოვება. აღნიშნული მონათხრობის შემდეგ, მოსამართლემ პროკურორს ჰკითხა, მიმდინარეობდა თუ არა დასახელებულ საკითხთან დაკავშირებით გამოძიება, რაზეც პროკურორმა განაცხადა, რომ პირველად გაიგო მოცემული ფაქტის შესახებ და პროკურატურა შესაბამის ზომებს მიმართავდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საქმეზე ბრალდებულს გირაო ჰქონდა შეფარდებული და სასამართლო სხდომაზე ბრალდებული და დაზარალებული ერთად მივიდნენ, ასევე, ერთად დატოვეს სხდომის დარბაზი. მონიტორინგის პერიოდისთვის, მოცემულ საქმეზე, საბოლოო გადაწყვეტილება არ მიღებულა.

[8] მაგალითად, ბრალდებულმა დაზარალებულს შემდეგი შინაარსის შეკითხვა დაუსვა - „გეუბნებოდი თუ არა იმ საღამოს, რომ შემეშვი, შენ ხარ ჩემი ციხის საგზური?“.

[9] შენიშვნა: დაზარალებულს ჰქონდა უთანხმოება პოლიციასთან, რადგან ფიქრობდა, რომ მისი მეუღლე უმიზეზოდ ჰყავდათ პოლიციის განყოფილებაში.

საინტერესოა დაზარალებულის ქცევა საქმის არსებითი განხილვის კიდევ ერთ სხდომაზე. მართალია, მოცემულ სხდომაზე დაზარალებული არ დაკითხულა, თუმცა იგი იმყოფებოდა დარბაზში და ესწრებოდა პროცესს. დაზარალებული არ აცდიდა საუბარს პროკურორსა და ადვოკატს და ხშირი რეპლიკებით აფიქსირებდა თავის პოზიციას. მაგალითად, დაზარალებულის განცხადებით, პოლიციამ გააყალბა 112-ის ჩანაწერი და 7-მდე საჩივარი წარადგინა პოლიციაში ამ „გაუგებრობის" გამოსასწორებლად (სავარაუდოდ, დაზარალებული „გაუგებრობას" ეძახდა ოჯახში ძალადობის იმ საქმეს, რომლის განხილვაც მიმდინარეობდა). როგორც დაზარალებულმა აღნიშნა, პოლიციაში ბრალდებულის თვითმკვლელობის მცდელობის აღკვეთის გამო დარეკეს და არა ოჯახში ძალადობის ფაქტზე. გამოვლინდა ისიც, რომ დაზარალებული ეკონომიკურად დამოკიდებული იყო მოძალადეზე და სავარაუდოდ, მისი ბრალდებულისადმი ლოიალური დამოკიდებულებაც ამით აიხსნებოდა. მოცემულ საქმეზე მოსამართლემ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი და დამნაშავეს მიუსაჯა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

მონიტორინგის შედეგად კიდევ ერთხელ დადასტურდა ოჯახში ძალადობის საქმეებზე მართლმსაჯულების აღსრულების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რაც გულისხმობს დაზარალებულის მიერ ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმას. დადებითად უნდა შეფასდეს, რომ მოსამართლეები, ძირითადად არკვევდნენ, რა იყო ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზეზი. კერძოდ, ხომ არ ჰქონდა ადგილი რაიმე სახის იძულებას ან ზეწოლას. თუმცა, მართლმსაჯულების ორგანოები მაინც ვერ უზრუნველყოფენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის რისკების თავიდან აცილებას.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია შესაბამისი მაგალითები

ერთ-ერთ საქმეზე, რომელშიც პირს ბრალი ედებოდა შვილის მიმართ ჩადენილ ძალადობასა და მუქარაში, დაზარალებულმა უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე. მოსამართლე დაინტერესდა, რატომ ამბობდა უარს დაზარალებული ჩვენების მიცემაზე? ჰკითხა ხომ არ დააშინეს ან სხვა გზით ხომ არ მოახდინეს მასზე ზემოქმედება. მოსამართლე, ასევე დაინტერესდა პროკურორს მიმართული ჰქონდა თუ არა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორისთვის, რაზეც პროკურორი დაიბნა და ვერ უპასუხა, თუმცა მოგვიანებით თქვა, რომ ამის თაობაზე დაზარალებულს ესაუბრა მასთან მიმოწერის დროს. დაცვის მხარის შუამდგომლობით სხდომა გადაიდო.

რამდენიმე საქმეზე ბრალდებულის ადვოკატმა განაცხადა, რომ დაზარალებულმა შეიცვალა პოზიცია და უარს აცხადებდა ჩვენების მიცემაზე, ასევე, სასამართლოს წარუდგინა დაზარალებულის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი ბრალდებულის მიმართ პრეტენზიის არქონის თაობაზე. ასეთ შემთხვევებში მოსამართლის რეაგირება, უმეტესად ადეკვატური იყო, ვინაიდან ერთმნიშვნელოვნად, უპირობოდ არ ითვალისწინებდა დოკუმენტის შინაარსს და აქცენტს აკეთებდა შესაძლო საფრთხეებსა და რისკებზე.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია შესაბამისი მაგალითები

საქმის არსებითი განხილვის ერთ-ერთ სხდომაზე, რომელიც შეეხებოდა ოჯახში ძალადობასა და მუქარას, ბრალდებულის ადვოკატმა განაცხადა, რომ დაზარალებული უარს აცხადებდა სასამართლოში ბრალდებულის საწინააღმდეგოდ ჩვენების მიცემაზე და აღნიშნულზე დაყრდნობით ასაბუთებდა პატიმრობის გირაოთი შეცვლის საჭიროებას. მოსამართლემ ბრალდებული დატოვა პატიმრობაში და მიუთითა, რომ არ იყო გამოვლენილი ახალი გარემოება, რომელიც გადაწონიდა ბრალდებულისგან მომდინარე საფრთხეებს. რაც შეეხება დაზარალებულის პოზიციის ცვლილებას, მოსამართლის შეფასებით ასეთი რამ ხშირად ხდებოდა, რაც არ მიუთითებდა იმაზე, რომ დაზარალებული ვერ ხედავდა ბრალდებულისგან მომდინარე საფრთხეებს.

კიდევ ერთი საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, რომელიც შეეხებოდა შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობას, ბრალდებულის ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა სხდომის გადადების თაობაზე იმ მოტივით, რომ აპირებდა დაზარალებულის პოზიციის წარმოდგენას ბრალდებულის მიმართ ე.წ. პრეტენზიის არქონის შესახებ (აღნიშნა, რომ დაზარალებული გულშემატკივრობდა მეუღლეს და აპირებდა მასთან შერიგებას). მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და მიუთითა, რომ განსახილველი სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულის პოზიცია არ იყო გადამწყვეტი. მოცემულ საქმეზე მოსამართლემ დამნაშავედ ცნო პირი შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევისთვის გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით.

მეუღლის მიმართ ჩადენილი ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ საქმეზე მიმდინარე საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ბრალდებულის ადვოკატმა განაცხადა, რომ დაზარალებულმა შეიცვალა პოზიცია ბრალდებულის სასარგებლოდ. მოსამართლემ გამოაცხადა შესვენება და ბრალდების მხარეს მიმართა, რომ დაერეკა დაზარალებულთან და დაეზუსტებინა მისი პოზიცია. აღმოჩნდა, რომ პროკურორს დაზარალებულის მობილური ტელეფონის ნომერი არ ჰქონდა და ბრალდებულმა უკარნახა. სატელეფონო კომუნიკაციის შემდეგ, ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ დანაშაულის ჩადენის შემდგომ სხვა რაიმე კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია. მოცემულ საქმეზე მოსამართლემ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, პირი დამნაშავედ ცნო სსკ-ის 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით.

ერთ-ერთ წინასასამართლო სხდომაზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ ე.წ. პრეტენზიის არქონის თაობაზე დაზარალებულის ხელწერილის დასაშვებ მტკიცებულებად ცნობის შესახებ, რომელზე დაყრდნობითაც ითხოვდა ბრალდებულის მიმართ შეფარდებული პატიმრობის გირაოთი შეცვლას. მოსამართლემ გამოიკვლია წერილის შინაარსი, რომელშიც ჩანდა დაზარალებულის შიში, ვინაიდან იგი ითხოვდა, რომ მოძალადე არ მიახლოებოდა. მოსამართლემ ყურადღება გაამახვილა მსგავსი წერილების არარელევანტურობასა და დაზარალებულის მოწყვლადობაზე და აღნიშნა, რომ წერილშივე იგრძნობოდა დაზარალებულის შიში ბრალდებულის მიმართ. შესაბამისად, პატიმრობა ძალაში დატოვა.

დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც დაცვის მხარემ წარადგინა დაზარალებულის ე.წ. ხელწერილი, რომელშიც იგი მიუთითებდა, რომ არ ჰქონდა პრეტენზია ბრალდებულის მიმართ, მათ შორის, აღნიშნავდა, რომ კონფლიქტი დასრულებული იყო და კვლავ აპირებდნენ თანაცხოვრებას. ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, მოსამართლემ ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა და დოკუმენტი საქმეს დაურთო მტკიცებულებად, მას შემდეგ, რაც ბრალდებულს ჰკითხა, მან ხომ არ აიძულა დაზარალებული, რომ დაეწერა ხელწერილი, რაზეც მისგან უარყოფითი პასუხი მიიღო. მსგავს შემთხვევებში, სავარაუდოა, ჩვენების მიცემაზე უარის თქმა ან ბრალდებულის მიმართ ლოიალური განწყობა განპირობებული იყოს სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის, დაზარალებულზე შესაძლო ზემოქმედებით, ამიტომაც უმნიშვნელოვანესია, მოსამართლის მიერ მსგავსი გადაწყვეტილების მიღებამდე უფრო დეტალურად იქნეს შეფასებული ეს საფრთხეები.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია შესაბამისი მაგალითები

ერთ-ერთ საქმეში გამოვლინდა ბრალდებულის ადვოკატის მხრიდან დაზარალებულზე სავარაუდო ზემოქმედების ფაქტი, იმისათვის, რომ არ მიეცა ჩვენება მეუღლის წინააღმდეგ. კერძოდ, პირველი წარდგენის სხდომის დაწყებამდე, დაზარალებული, რომელიც სასამართლო სხდომის დარბაზის გარეთ იდგა, ამბობდა, რომ მეუღლეს არ აპატიებდა მის მიმართ ფიზიკურ ძალადობას და სურდა, რომ დასჯილიყო ამის გამო. მან [დაზარალებულმა] ისიც აღნიშნა, რომ ეს არ იყო ძალადობის პირველი შემთხვევა და მანამდეც არაერთხელ ფსიქოლოგიურად უძალადია მის მეუღლეს მასზე. აღნიშნული განწყობის შესაცვლელად კი, ბრალდებულის ადვოკატი პროცესის დაწყებამდე ესაუბრებოდა დარბაზის გარეთ მდგარ დაზარალებულს და ცდილობდა, იქ მყოფი სასულიერო პირის (დაზარალებულის მოძღვრის) ჩარევითა და დახმარებით უარი ეთქმევინებინა მსხვერპლისთვის მეუღლის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე.

კიდევ ერთ საქმეზე ბრალდებულის ადვოკატმა წარმოადგინა დაზარალებულის პოზიცია, რომლის თანახმადაც იგი პატიობდა მეუღლეს ძალადობის ჩადენას. მანვე [ადვოკატმა] აღნიშნული განცხადებიდან ამოიკითხა დაზარალებულის მიერ ნათქვამი სიტყვები - „მე მას ვპატიობ“ „რაც მოხდა ეს ჩვენი ოჯახის საქმეა.“ ადვოკატის მტკიცებით, ბრალდებულს არ ჩაუდენია ძალადობა და მის მიმართ წარდგენილი ბრალდება გამოწვეული იყო დაზარალებული ქალის ალკოჰოლური სიმთვრალით. აღნიშნულის დასტურად ადვოკატმა მოიშველია დაზარალებული ქალის შვილის მიერ დედის მიმართ ნათქვამი სიტყვები იმის თაობაზე, რომ იგი თავს მოიკლავდა, თუ მამას (ბრალდებულს) ციხეში უსაფუძვლოდ ჩასვამდნენ, რაც შესაძლოა მსხვერპლზე ზემოქმედებისა და ზეწოლის ნიშნებზე მიუთითებდეს. ამ დროს დაზარალებული სხდომის დარბაზში იმყოფებოდა, რომელიც მთელი პროცესის განმავლობაში ტიროდა. მოცემულ საქმეზე დადგა გამამართლებელი განაჩენი.

თავი IV

მხარეებისა და დამსწრე პირების ქცევა სასამართლოს შენობაში

თავი IV მხარეებისა და დამსწრე პირების ქცევა სასამართლოს შენობაში

სასამართლო მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა ბრალდებულის ადვოკატისა და სხდომის დარბაზში დამსწრე პირების მხრიდან არაეთიკური, სტერეოტიპული და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების ცალკეული შემთხვევები, რომელიც, უმეტესად მიმართული იყო დაზარალებულის ან/და სხვა მოწმის მიმართ.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე ადვოკატმა დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისას აღნიშნა, რომ თავისი მრავალწლიანი პრაქტიკის განმავლობაში საბოლოო სიტყვებს არქმევს გარკვეულ სახელწოდებებს. ამ საქმეზე დასკვნით სიტყვას კი დაარქვა ***„მეღას თავისი მახჩობელა უყვახდაო“.*** ასევე, გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც სასამართლო სხდომის დაწყებამდე, დერეფანში ადვოკატი ამართლებდა ბრალდებულის ქმედებას და შეურაცხმყოფელ კონტექსტში მოიხსენიებდა ყველა იმ ქალს, რომელიც შემაკავებელი ორდერის გამოცემას ითხოვდა მეუღლის მიმართ.

გამოვლინდა ბრალდებულის ადვოკატის მიერ მოწმის მიმართ შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი დამოკიდებულების მცდელობა მისი დაკითხვის მიმდინარეობისას. კერძოდ, ადვოკატმა მოწმეს დაუსვა კითხვა, რომელი მშობლისთვის უნდა გაეტანებინათ ბავშვები სკოლიდან? (საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ძალადობაში ბრალდებული პირი მისული იყო სკოლაში შვილების გამოსაყვანად), რაზეც მოწმემ პასუხის გაცემისას გამოიყენა სიტყვა „გაეტნია“. აღნიშნულის შემდეგ, ადვოკატმა რამდენჯერმე გაიმეორა მოწმის მიერ წარმოთქმული სიტყვა, მაშინ, როდესაც მანამდე აღნიშნულ სიტყვას ყოველთვის სწორი ფორმით იყენებდა, რაც ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ადვოკატი ცდილობდა მოწმის დამცირებას მისი კუთხური დიალექტის გამო, თუმცა მოსამართლეს ამ ფაქტზე შესაბამისი რეაგირება არ მოუხდენია.

ერთ-ერთ სხდომაზე გამოვლინდა ბრალდებულის მშობლების მხრიდან დაზარალებულის მიმართ შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია შესაბამისი მაგალითები

საქმე შეეხებოდა ყოფილი მეუღლის მიმართ არასრულწლოვანის თანდასწრებით ჩადენილ ოჯახში ძალადობასა და მუქარას. ბრალდებულის მშობლები პროცესის მიმდინარეობისას საუბრობდნენ და შეურაცხმყოფელი ეპითეტებით მოიხსენიებდნენ დაზარალებულს, რაზეც მათ მოსამართლემ შენიშვნა მისცა. სხდომის დამთავრების შემდეგ, ბრალდებულის დედამ განაცხადა, რომ ნანობდა მისმა შვილმა ყოფილი რძალი „საიქიოში“ რომ არ გაისტუმრა, ვინაიდან სახელშერცხვენილი მაინც არ დაბრუნდებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში.

თავი V



ოჯახში ძალადობის საქმეებზე გამოტანილი განაჩენები და გამოყენებული სასჯელები

თავი V ოჯახში ძალადობის საქმეებზე გამოტანილი განაჩენები და გამოყენებული სასჯელები

საქმის არსებითი განხილვის იმ 45 საქმიდან, რომლებსაც მონიტორი დაესწრო, მხოლოდ 16 საქმეზე იქნა გამოტანილი განაჩენი, საიდანაც 12 მათგანი იყო გამამტყუნებელი, ხოლო - 4 გამამართლებელი.

სავარაუდოდ, ბრალდებულის გამართლების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია შესაბამისი მაგალითები

ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც შეეხებოდა შვილის მიერ დედის მიმართ ჩადენილ ოჯახში ძალადობას, დადგა გამამართლებელი განაჩენი. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ბრალდებული ადრეც იყო მსჯავრდებული დედის მიმართ ჩადენილი ძალადობისთვის და მოცემული მომენტისთვის, მას ძალადობის 5 ეპიზოდისთვის ჰქონდა ბრალდება წარდგენილი.

დაზარალებულმა, რომელიც იყო 82 წლის და გადატანილი ჰქონდა ინსულტი, უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე. ასევე, როგორც გაირკვა, დაზარალებულმა მეზობელს დაარეკვინა პოლიციაში მის მიმართ ცემისა და დახრჩობის მცდელობის გამო, თუმცა მეზობელმა სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას განაცხადა, რომ ცემის ფაქტი არ ახსოვს, ხოლო გამოკითხვის ოქმში დაფიქსირებული ინფორმაცია არ იცის, რადგან დოკუმენტზე ხელმოწერისას სათვალე არ ეკეთა. სავარაუდოდ, აღნიშნული გარემოებები და მტკიცებულებების არასაკმარისობა გახდა ბრალდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის მიზეზი.

ბოლოს, მოსამართლემ უთხრა ბრალდებულს, რომ მტკიცებულებების არასაკმარისობის გამო ათავისუფლებდა და არა იმ მოტივით, რომ უდანაშაულოდ მიაჩნდა. მოსამართლემ ბრალდებულს სთხოვა, რომ მიეხედა მოხუცი და დაუძლურებული დედისთვის.

ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიუხედავად, გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი.

რაც შეეხება გამოყენებულ სასჯელებს, ბრალდებულებს უმეტესად პირობითი მსჯავრი და ვადიანი თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. ასევე, ერთ შემთხვევაში გამოყენებულ იქნა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე გამოყენებულ სასჯელებს

გამოყენებული სასჯელები:

განსაკუთრებით პრობლემური იყო ერთ-ერთი ბრალდებულის მიმართ გამოყენებული სასჯელი. პირს ბრალი ედებოდა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ ოჯახში ძალადობის 5 ეპიზოდში და მუქარის ერთ ეპიზოდში, რომელიც გრძელდებოდა 2020 წლიდან 2023 წლის თებერვლამდე. დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში: ბრალდებულმა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, მეუღლეს, მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე ყელზე მოუჭირა მაგრად ხელი და მოსთხოვა დამორჩილება, ასევე აღნიშნულ ძალადობამდე, როდესაც დაზარალებული იყო ორსულად, ბრალდებულმა მეუღლეს ხელზე დაადო ცხელი რკინა. კიდევ ერთ ეპიზოდში ბრალდებულმა მეუღლეს სახესა და მუცელში ჩაარტყა ხელი, ხოლო მოგვიანებით ხელი ჩაარტყა თავისა და სახის არეში, ასევე მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

მას შემდეგ რაც დაიწყო საქმის არსებითი განხილვა, დაცვის მხარემ მოსამართლესა და პროკურორს გადასცა დაზარალებულის მიერ გამოგზავნილი ხელწერილი, რომლითაც ეს უკანასკნელი ატყობინებდა პროცესის მონაწილეებს, რომ პრეტენზია არ ჰქონდა მოძალადის მიმართ, ასევე აღნიშნავდა, რომ მეუღლეს შეურიგდა და მისი სახლში დაბრუნების შემდეგ კვლავ ერთად აპირებდნენ თანაცხოვრებას.

მოსამართლემ ყველა ეპიზოდში დამნაშავედ ცნო მოძალადე და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ჩაუთვალა პირობითად. შთანთქმის პრინციპის საფუძველზე საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რომელიც სრულად ჩაეთვალა პირობითად, რის შემდეგაც დამნაშავე გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან. პროცესის განმავლობაში ბრალდებული ცდილობდა მოსამართლისთვის აეხსნა, რომ მისი გარკვეული ქმედებები პროვოცირებული იყო დაზარალებულის მიერ (მიუთითებდა, თუ როგორ გამოჰყავდა დაზარალებულს წყობილებიდან) და ამით საკუთარი საქციელის გამართლებას ცდილობდა. ასევე, სხდომის დასრულების შემდეგ, მოსამართლემ მიმართა ბრალდებულს და გააფრთხილა, რომ მცირედი გადაცდომაც კი, მისთვის მძიმე შედეგების მომტანი იქნებოდა - ***„იცოდე ასეთი განაჩენით ძაღიან დიდ პასუხისმგებლობას ვიღებ ჩემს თავზე, პატახა გადაცდომაც და შენი საშვეღი აღახ იქნება.“***

ჩადენილი დანაშაულების სიმრავლიდან და ბრალდებულის დამოკიდებულებიდან გამომდინარე, საეჭვოა რამდენად პროპორციულია გამოყენებული სასჯელი და ექნება თუ არა პრევენციული ეფექტი ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

თავი VI



ოჯახში ძალადობის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გამოყენება

თავი VI ოჯახში ძალადობის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გამოყენება

დამონიტორინგებული პროცესებიდან მხოლოდ ორ საქმეზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. ორივე შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების დამტკიცება მოხდა საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე.

პირველ საქმეში, რომელშიც პირს ბრალი ედებოდა დედის მიმართ ჩადენილ მუქარაში, საპროცესო შეთანხმების გაფორმების შედეგად სასჯელის სახე და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, საიდანაც ერთი წელი დაუწესდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო ერთი წელი ჩაეთვალა პირობითად.

მეორე საქმეში, რომელიც შეეხებოდა არასრულწლოვანის თანდასწრებით ჩადენილი ოჯახში ძალადობის 2 ეპიზოდსა და მუქარას, საპროცესო შეთანხმების გაფორმების შედეგად დამნაშავეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 3 თვის ვადით, საიდანაც 3 თვე უნდა გაეტარებინა პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო 1 წელი ჩაეთვალა პირობითად.

ზემოაღნიშნულის გარდა, ასევე, გამოვლინდა ორი შემთხვევა, როდესაც გაირკვა, რომ მხარეებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია შესაბამისი მაგალითები

ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ საქმეზე სხდომის გადადების მიზეზი იყო მხარეებს შორის მიმდინარე მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე. სწორედ საპროცესო შეთანხმების დეტალების შესათანხმებლად ითხოვეს სხდომის გადადება, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა.

კიდევ ერთი საქმის არსებითი განხილვის მიმდინარეობისას ცნობილი გახდა, რომ მხარეებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე. აღმოჩნდა, რომ ერთხელ უკვე გადადებული იყო სხდომა საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზნით მხარეებს შორის მოლაპარაკების წარმართვის მოტივით, თუმცა აღნიშნული დრო არ აღმოჩნდა საკმარისი შესათანხმებლად. ამიტომ, პროკურორმა კიდევ ერთხელ მოითხოვა სხდომის გადადება, რაც სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა.

თავი VII

სასამართლო პროცესის დაგვიანებით დაწყება და გადადება

თავი VI სასამართლო პროცესის დაგვიანებით დაწყება და გადადება

სასამართლო სისტემაში სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს პროცესების დაგვიანებით დაწყება. უმეტესად, წინასასამართლო და საქმის არსებითი განხილვის სხდომები დაგვიანებით იწყებოდა. მაგალითად, საქმის არსებითი განხილვის 45 სხდომიდან, 31 მათგანი დაგვიანებით დაიწყო, რომელთაგან 7 მათგანის დაწყება 1 საათით ან 1 საათზე მეტი ხნით დაგვიანდა.

დაგვიანების მიზეზი იყო მხარეების ან პროცესის სხვა მონაწილეების (მაგალითად, თარჯიმნის დაგვიანება, რომელიც სხვა პროცესს ესწრებოდა) სასამართლოში დაგვიანებით მისვლა, მოსამართლის მიერ დაგვიანება, რაც ძირითადად გამოწვეული იყო სხვა საქმის განხილვის მოსალოდნელზე მეტი ხნით გაგრძელებით, იმავე სხდომის დარბაზში სხვა პროცესის გაგრძელებით. ერთ შემთხვევაში, დაგვიანების მიზეზი იყო პენიტენციური დაწესებულებიდან ბრალდებულის სასამართლოში დაგვიანებით მიყვანა.

სასამართლო სხდომების დაგვიანებით მიზეზების საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია შესაბამისი მაგალითი

ერთ-ერთ საქმეზე პროცესის დაწყება დაგვიანდა 2 საათით. დაგვიანების მიზეზი იყო მოსამართლის მიერ სხვა საქმის განხილვა, რომელიც დროში გაიწელა. დაახლოებით 1 საათის განმავლობაში მოწმეები მოსაცდელში ელოდებოდნენ სხდომის დაწყებას, რის შემდეგაც სახლში/სამსახურში წავიდნენ. პროცესის დაწყების შემდეგ, ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა სხდომის გადადების თაობაზე, ვინაიდან, მოწმეები, რომლებიც უნდა დაეკითხა, უკვე წასულები იყვნენ.

სასამართლო პროცესების დაგვიანებით დაწყების გარდა, ხშირად მხარეთა მოთხოვნით ხდებოდა სხდომების გადადება, ხოლო მიზეზებს შორის იყო დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის საჭიროება, ბრალდების მხარის მოწმეთა სასამართლოში გამოუცხადებლობა, დამატებითი დროის საჭიროება საქმის მასალების გასაცნობად, მხარეთა შორის მოლაპარაკების წარმოება საპროცესო შეთანხმების პირობებთან დაკავშირებით, მხარის ავადმყოფობა და ა.შ. ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც ადვოკატები შუამდგომლობდნენ სხდომის გადადებას, რომლის მიზეზად ასახელებდნენ, რომ არ იყვნენ მზად პროცესისთვის, ვინაიდან ვერ მოახერხეს მასალების სრულად გაცნობა, რადგან გვიან ჩაერთნენ საქმეში.

სხდომების ხშირი გადადება ხელს უწყობს საქმის განხილვის გაჭიანურებას, რაც შეიცავს დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციისა და მისი მხრიდან სამართალწარმოებაში მონაწილეობაზე უარის თქმის რისკებს. ამ შემთხვევაში, მოსამართლემ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები სხდომების ხშირი გადადების თავიდან ასაცილებლად.

სასამართლო სხდომების დაგვიანებით მიზეზების საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია შესაბამისი მაგალითი

ერთ-ერთ საქმეზე გამართულ სხდომაზე არ გამოცხადდა ადვოკატი და მიზეზად დაასახელა, რომ ქვეყანაში ძალიან მაღალი ტემპერატურა იყო და ვერ მოახერხებდა სასამართლოში გამოცხადებას, რაზეც მოსამართლემ აღნიშნა, რომ ეს იყო სასამართლოს უპატივცემულობა. თუმცა, საბოლოოდ მეორე მხარესთან შეთანხმებით მაინც გადაიდო სხდომა.

კიდევ ერთ საქმეზე, სადაც სასამართლო პროცესი 15 წუთის დაგვიანებით დაიწყო, ბრალდებული არ გამოცხადდა სხდომაზე. გაირკვა, რომ აღნიშნული მიზეზით პროცესი უკვე მეორედ იყო გადადებული.

ადვოკატის განმარტებით, იგი არ იყო ინფორმირებული ბრალდებულის ადგილსამყოფლის შესახებ. ასევე, მისივე განცხადებით, ვერ ახერხებდა ბრალდებულთან დაკავშირებას, ამიტომ ვერ შეძლო მისი ინფორმირება გადადებული სასამართლო სხდომის თარიღის შესახებ. თუმცა, როგორც პროკურორმა აღნიშნა, იგი ესაუბრა ბრალდებულს და მიაწოდა ინფორმაცია სასამართლო სხდომის ჩატარების თარიღის შესახებ. ამასთანავე, პროკურორის განმარტებით, მისთვის ცნობილი იყო, სად იმყოფებოდა ბრალდებული. საბოლოოდ, მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კიდევ ერთხელ გადაედო სასამართლო სხდომა.

კიდევ ერთ საქმეზე პროკურორმა ითხოვა სხდომის გადადება, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა. როგორც გაირკვა, აღნიშნული საქმის პროკურორი იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაში და პროკურორი, რომელმაც ის ჩაანაცვლა, ითხოვდა დამატებით დროს საქმის მასალების გასაცნობად.

დასკვნა

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კლინიკის ფარგლებში სტუდენტების მიერ სასამართლო პროცესებზე დაკვირვებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი უმეტესად ქალები და ბავშვები არიან. ოჯახში ძალადობის შემდგომი პრევენციისა და ამ ჯგუფების უფლებების ეფექტიანად დაცვისათვის უმნიშვნელოვანესია, გარკვეული პერიოდულობით, წინამდებარე ანგარიშში განხილული მონაცემების მსგავსი ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, რაც მომავალში მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელებასა და შესაბამისი პროგრამების შემუშავებას შეუწყობს ხელს. შესაბამისად, კლინიკის ფარგლებში სტუდენტების მიერ შეგროვებული და დამუშავებული ინფორმაცია, რომელიც მოცემულ ანგარიშში აისახა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ამ მიმართულებით. მსგავსი მონიტორინგის ანგარიშები არის ერთგვარი გზავნილი მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენელთათვის, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე საზოგადოების, მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან დაკვირვების მომეტებული ინტერესი არსებობს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სასამართლო პროცესის გამჭვირვალობის გაზრდას.

თბილისი

2023

ოჯახში ძალადობის საქმეებზე სისხლის სამართლის სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიში თბილისის საქალაქო სასამართლოში

2023